ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1783629

ნომერი: AR1287784

თარიღი : 19.02.2015

გაცემის თარიღი : 16.03.2015

გაცნობის თარიღი : 18.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 1 , (ნაკვეთი N1/16) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მეგრელიშვილი პ/ნ 01012023404
- თბილისი

ორგანიზაცია:

- შპს "შუქურა" კოდი: 209442487

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2013 წ. #834663 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 19.02.2015 წ. #AR1287784 განცხადებით მომართა შპს „შუქურა“-ს დირექტორმა ირაკლი მეგრელიშვილმა და მოითხოვა 13.08.2013 წ. #834663 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 13.08.2013 წ. #834663 გადაწყვეტილებით #01.11.19.001.021 (2170 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მსუბუქი კონსტრუქციის საყოფაცხოვრებო ობიექტის (ავტოსერვისი) ასაშენებლად დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 04.08.2014 წ. #1412113 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა–ნაგებობა უნდა განთავსდეს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში. ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.2009 წ. #4–13 გადაწყვეტილების თანახმად სარეკრეაციო ზონა 2–ში (რზ–2) მსუბუქი კონსტრუქციის საყოფაცხოვრებო ობიექტი (ავტოსერვისი) დასაშვებია სპეციალური ზონალური ნებართვით. შესაბამისად, საკითხი განხილულ იქნა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიზე (ოქმი #10 05.03.2015წ.), რომელზედაც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ზონა (რზ-2)-ის არეალში მსუბუქი კონსტრუქციის საყოფაცხოვრებო ობიექტის (ავტოსერვისი) განთავსების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) ნებართვა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ1-0,5-ით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2013 წ. #834663 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს დამატებითი დოკუმენტი:
   - ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი #10 (05.03.2015);
   - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2013 წ. #834663 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად აღნიშნული მიწის ნაკვეთისთვის გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება მსუბუქი კონსტრუქციის საყოფაცხოვრებო ობიექტის (ავტოსერვისი) განსათავსებლად და მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ1-0,5-ით;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2013 წ. #834663 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნას შემდეგი შენიშვნა: – არსებული მდგომარეობით დაცულ იქნეს აეროფოტოგადაღებაზე დასმული ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, საპროექტო შენობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ის გავრცელების არეალში;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2013 წ. #834663 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 04.08.2014 წ. #1412113 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.